

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის
სტრუქტურული ქვედანაყოფების გუნდებს შორის მინი ფეხბურთში გასამართი ტურნირის

ქ. თბილისი, 2016 წელი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მიზანი და ამოცანები

შიდა ტურნირი მინი ფეხბურთში მიზნად ისახავს დაცვის პოლიციის დეპარტამენტში ფეხბურთის, როგორც სპორტის სახეობის და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების პოპულარიზაციას, ასევე დეპარტამენტის თანამშრომელთა შორის ურთიერთობების გაღრმავებას და ძლიერი გუნდის გამოვლენას.

ტურნირის მოწყობის დრო და ადგილი

შეჯიბრება ჩატარდება ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტი, ვაკე-საბურთალოს სამმართველოს, პოლიციის I განყოფილების (მის: ვაკის რ-ნი, მზიურის მიმდებარე ტერიტორიაზე) საფეხბურთო მოედანზე. ღონისძიების ხანგრძლივობა განისაზღვრება ტურნირის კალენდარის შესაბამისად.

მონაწილე გუნდები

ტურნირში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დანაყოფების გუნდები. თითოეულ სამმართველოს (სამსახურს) აქვს მხოლოდ ერთი გუნდის წარდგენის უფლება. გუნდის წარმომადგენლები ვალდებული არიან, უზრუნველყონ გუნდის გამოცხადება კალენდრით გათვალისწინებულ ყველა თამაშზე (შეხვედრის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე).

გუნდის ფორმა

გუნდების ყველა მოთამაშე იცმევს სპორტულად (შორტი და მაისური). დაუშვებელია ბუცებით თამაში. მეტოქე გუნდებს თამაშის წინ დაურიგდებათ სხვადასხვა ფერის გადასაცმელი, შესაბამისი ნომრებით. თამაშის დასრულების შემდეგ მოთამაშეები ვალდებული არიან უკან ჩააბარონ სპორტული მოსაცმელი.

შეჯიბრების ჩატარების სისტემა და პირობები

- ტურნირში მონაწილე გუნდები დაკომპლექტებული უნდა იყოს მხოლოდ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მოსამსახურეებიტ (პოლიციელებით ან სამოქალაქო პირებით) დაუშვებელია გუნდების შემდაგენლობაში სამხედრო-საკონტრაქტო მოსამსახურეების ჩასმა.
- ტურნირი ტარდება „FIFA“-ს მიერ მინიფეხბურთისათვის გათვალისწინებული თამაშის წესების შესაბამისად. თამაშის ხანგრძლივობა განისაზღვრება ორი 20 წთ-იანი ტაიმით, ტაიმის შორის შესვენება - 5 წუთი. გუნდი მოგების შემთხვევაში გადადის ფინალური რაუნდის შემდეგ ეტაპზე (1/8 ფინალი, 1/4 ფინალი, 1/2 ფინალი და ფინალი).
- განაცხადში ნებადართულია არა უმეტეს 10 ფეხბურთელისა და 1 წარმომადგენლის შეყვანა. სათამაშო მოედანზე დაიშვება 6 მოთამაშე და მეკარე. თამაშის დროს მოთამაშეთა შეცვლა განსაზღვრულია. შეცვლა ხორციელდება სპეციალურად მონიშნული ადგილიდან.
- 16 გუნდს შორის კენჭისყრის შედეგად გუნდები იასპარეზებს 1/8 ფინალურ ეტაპზე და გაგრძელდება ე.წ. ოლიმპიური სისტემით ფინალური შეხვედრები. ნახევარფინალში დამარცხებული გუნდები ერთმანეთში ითამაშებენ მესამე ადგილისთვის, ხოლო ფინალი გამოავლენს ტურნირის ჩემპიონს.
- ტაიმის განმავლობაში გუნდის მიერ მიღებული ყოველი მეხუთე ჯარიმის შემდეგ დაჯარიმებული გუნდის კარში ინიშნება ათმეტრიანი საჯარიმო დარტყმა.
- მეკარეს არ აქვს უფლება, ხელში აიღოს თავისი გუნდის მოთამაშის მიერ მისი მისამართით ფეხით გამიზნულად გადაცემული ბურთი.
- უხეში თამაშისთვის, მოთამაშისათვის შეუფერებელი საქციელის, მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშის, მსაჯის ან გულშემატკივრის მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებისთვის მსაჯის მიერ წითელი ბარათით გაფრთხილებული მოთამაშე ტოვებს სათამაშო მოედანს და გუნდი თამაშს განაგრძობს ერთით ნაკლები მოთამაშით. ერთით ნაკლები მოთამაშით გუნდის თამაშის მსვლელობისას საკუთარ კარში მიღებული გოლის შემდეგ გუნდი თამაშობს სრული შემადგენლობით. ჯარიმისა და კუთხურის გათამაშებამდე, მოთამაშის მიერ მსაჯის მოთხოვნით დაცული იქნება 5 მეტრიანი რადიუსი. ამ დროს მსაჯის სასტვენის გარეშე ბურთის თამაშში შეყვანის შემთხვევაში საჯარიმო დარტყმა დაინიშნება საპირისპირო მიმართულებით.
- თამაშის დროს მოთამაშე გუნდებს შორის ფიზიკური დაპირისპირებისას ან მსაჯის მიმართ ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტს განიხილავს აღნიშნული

ტურნირის ორგანიზატორი გუნდის წარმომადგენლებთან ერთად და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას:

- გააფრთხილოს ყვითელი ბარათით;
- გააფრთხილოს წითელი ბარათით;
- მოთამაშეს მისცეს დისკვალიფიკაცია ტურნირის ბოლომდე; მოთამაშეს მისცეს დისკვალიფიკაცია მატჩის ბოლომდე.
- მოთამაშის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში გუნდი 2 წუთის მანძილზე თამაშობს ერთით ნაკლები ფეხბურთელით, ხოლო შემდგომ შეავსებს მოედნის მოთამაშეებს სათადარიგო ფეხბურთელით.
- იმ შემთხვევაში თუ მოთამაშე ერთი მატჩის განმავლობაში ორჯერ მიიღებს ყვითელი ბარათით გაფრთხილებას, მასზე ვრცელდება წითელი ბარათით გაფრთხილების წესი. წითელი ბარათით დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი ტოვებს მხოლოდ იმ თამაშს, რომელზეც მიიღო გაფრთხილება.
- ფინალური მატჩის ძირითადი დროის ფრედ დამთავრების შემთხვევაში გამარჯვებული გუნდის გამოსავლენად ინიშნება პენალტების სერია. (5-5 ფეხბურთელი ურტყამს, კვლავ საყაიმო შედეგის შემდეგ დარტყმები გრძელდება პენალტის არასწორ დარტყმამდე)
- გუნდის წარმომადგენელს (მწვრთნელს) უფლება აქვს, ტაიმის მსვლელობისას ერთხელ ისარგებლოს ერთწუთიანი ტაიმ-აუტი (გამოუყენებელი ტაიმ-აუტი არ გადადის მეორე ტაიმში)

გუნდის განაცხადის გაფორმება

- გუნდმა მონაწილე თანამშრომელთა განაცხადი (ან განაცხადში ცვლილება) უნდა წარუდგინოს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციას (არა უგვიანეს 2016 წლის 12 სექტემბრისა).
- მატჩის დაწყებამდე წარმოდგენილი უნდა იქნას ტურნირში მონაწილე პირთა სამსახურეობრივი პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან დროებითი საშვის ასლები.
- განაცხადი დამტკიცებული უნდა იყოს შესაბამისი დანაყოფის ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით (ან დოკუმენტაციის ელექტრონული მიმოცვლის სისტემით eflow).

დაჯილდოება

ტურნირის გამარჯვებულსა და საპრიზო ადგილზე გასულ გუნდს გადაეცემა თასი.
საუკეთესო მეკარე და ბომბარდირი დაჯილდოვდება პრიზით.